

მისაღები გამოცდების მოთხოვნები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- აზრის ჩამოყალიბება ცხადად, თანამიმდევრულად, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვით;
- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატურად გამოყენება;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი.

ამრიგად, ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით მოწმდება: საპროგრამო მასალის ცოდნის პრაქტიკული გამოყენების, უცნობი ტექსტის გააზრების, საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემის უნარები და წერის კულტურა.

III. საგამოცდო პროგრამა

1. ქართული ენა

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი. საგანგებო ყურადღება მიექცევა მეტყველების კულტურის საკითხებს.

აბიტურიენტს მოეთხოვება შემდეგი საკითხების ცოდნა:

ქართული ენა და მისი ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში. ქართველური ენები. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი საფეხურები. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები. ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები. ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები. ქართული ენის ძირითადი ლექსიკონები.

ბგერა და ასო. ხმოვნები და თანხმოვნები. მარცვალი. ხმარებიდან გასული ასოები.

სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება. სინონიმები; ომონიმები; ანტონიმები; პარონიმები; დიალექტიზმები; არქაიზმები; ნეოლოგიზმები; ნასესხები სიტყვები; ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; ტავტოლოგია; კალკი; ატროფია (სიტყვის გამოყენება არახუსტი მნიშვნელობით).

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის

ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება. წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები, მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებულები.

წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენი ნიშნები, სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

ამრიგად, აბიტურიენტი სწორად უნდა აგებდეს ენობრივ კონსტრუქციებს, უნდა ერკვეოდეს საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში და შეეძლოს წერის დროს ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

2. ქართული ლიტერატურა

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

- I. **მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები:** ალეგორია, აფორიზმი, ბიოგრაფია, გაპიროვნება, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, თემა, თქმულება, იგავ-არაკი, იდეა, ირონია, იუმორი, კომედია, კომპოზიცია, ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, მეტაფორა, მითი, მოთხრობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, პეიზაჟი, პერიფრაზი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პოემა, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, რითმა, რიტმი, რომანი, სატირა, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ტრაგედია, ტროპი, ფაბულა, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.
- II. **ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები:** სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი.
- III. **შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოებები:**
 1. **იაკობ ხუცესი** – „შუშანიკის წამება“.
 2. **იოვანე საბანისძე** – „აბო თბილელის წამება“.
 3. **გიორგი მერჩულე** – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.
 4. **შოთა რუსთაველი** – „ვეფხისტყაოსანი“.
 5. **სულხან-საბა ორბელიანი** – „სიბრძნე სიცრუისა“.
 6. **დავით გურამის შვილი** – „ქართველთა უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (უკანასკნელი ექვსი სტროფი), „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამის შვილის ლექთაგან დატყობა“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთში“, „დავით გურამის შვილისაგან საწუთოს სოფლის სამღურავი“, „მეფის ვახტანგის ამიერსოფლით მიცვლა და ქართველთა თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის სამსახურში განწესება“.
 7. **ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ლექსები: „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „გოგჩა“.

8. *გრიგოლ ორბელიანი* – ლექსები: „საღამო გამოსალმებისა“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „პასუხი შვილთა“; პოემა „სადღეგრძელო“.
9. *ნიკოლოზ ბარათაშვილი* – ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ვპოვე ტაძარი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“, „სული ობოლი“, „სულ ბოროტო“, „რად ჰყვედრი კაცსა“; პოემა „ბედი ქართლისა“.
10. *ილია ჭავჭავაძე* – ლექსები: „ყვარლის მთებს“, „ელეგია“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „მას აქეთ, რაკი“, „ბაზალეთის ტბა“, „ქართველის დედას“, „პოეტი“, „ჩემო კაღამო“, „პასუხის პასუხი“; პოემები: „აჩრდილი“, „განდგეილი“, მოთხრობები: „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“.
11. *აკაკი წერეთელი* – ლექსები: „პოეტი“, „ჩანგური“, „სულიკო“, „ადმართ-ადმართ“, „ხატის წინ“, „განთიადი“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“; მოთხრობა „ბაში-აჩუკი“.
12. *ალექსანდრე ყაზბეგი* – მოთხრობა „ხვეისბერი გოჩა“.
13. *ვაჟა-ფშაველა* – ლექსები: „დამსეტყვე, ცაო“, „არწივი“, „კაი ყმა“, „არაგვს“, „ღამე მთაში“, „სიმღერა“ („არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა...“), „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, „რამ შემქმნა ადამიანად“; პოემები: „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“; მოთხრობები: „მთანი მაღალნი“, „ხმელი წიფელი“, „ია“, „მთის წყარო“.
14. *დავით კლდიაშვილი* – მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
15. *ნიკო ლორთქიფანიძე* – მოთხრობები: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „იყიდება საქართველო“ („საშობაო მინიატურებიდან“), „ტრაგედია უგმირთ“.
16. *ლელ ქიაჩელი* – მოთხრობა „ჰაკი აძბა“.
17. *კონსტანტინე გამსახურდია* – რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
18. *მიხეილ ჯავახიშვილი* – რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
19. *გალაკტიონ ტაბიძე* – ლექსები: „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“, „თოვლი“, „მზეო თიბათვისა“, „უსიყვარულოდ“, „მამული“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.
20. *გიორგი ლეონიძე* – ლექსები: „ღამე ივერიისა“, „ყივჩალის პაემანი“, „წიგნი ქართლის ცხოვრება“, „ნინოწმინდის ღამე“, „მეცამეტე საუკუნე“; მოთხრობა „მარტა“ (წიგნიდან „ნატვრის ხე“).

აბიტურიენტს უნდა შეეძლოს საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მხატვრული ტექსტების ლექსიკის გაგება; ამ ტექსტებში გამოკვეთილი სახეების, ნაწარმოებთა თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგის, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის აღეკვატური გააზრება; გარდა ამისა, ლირიკული ნაწარმოებების აზრობრივი და ემოციური შინაარსის წვდომა.

იმისათვის, რომ ამგვარ მოთხოვნებს უპასუხოს, აბიტურიენტს განვითარებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნება, ტექსტის შესახებ კრიტიკულად, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი და ლიტერატურული ტექსტის მონაკვეთებსა თუ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს შორის კავშირების დამყარების უნარი.

შენიშვნა: ჰავიოგრაფიული ნაწარმოებები, „სიბრძნე-სიცრუისა“ და „დავითიანი“ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე შემოწმდება სასკოლო სახელმძღვანელოს მიხედვით: *ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, IX კლასი*, შეადგინეს და კომენტარები დაურთეს მანანა გიგინეიშვილმა, ლაურა გრიგოლაშვილმა და ვახტანგ როდონაიამ; *„ვეფხისტყაოსანი“ – სასკოლო გამოცემით*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნოდარ ნათაძემ.

დანარჩენი ლიტერატურული ტექსტების შესწავლა დასაშვებია ნებისმიერი გამოცემის მიხედვით.